

თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტის გუნდის შესარჩევი რაუნდის წესები

1. ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის იმიტირებული სასამართლო პროცესის შესახებ

ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის იმიტირებული სასამართლო პროცესი (შემდგომში „იმიტირებული სასამართლო პროცესი“) ტარდება 1994 წლიდან, ყოველწლიურად. მის უმთავრეს მიზანს წარმოადგენს ევროპული გაერთიანების სამართლის სიღრმისეული სწავლა და პოპულარიზაცია. იმიტირებული პროცესი ტარდება კემბრიჯის უნივერსიტეტის და ევროპული გაერთიანების სასამართლოს (European Court of Justice) ეგითით და მის ორგანიზებას ახორციელებს კემბრიჯის უნივერსიტეტის ბრიტანული სამართლის ცენტრი. შეჯიბრი ევროპის სხვადასხვა ქვეყანაში იმართება. 2015 წელს შეჯიბრი საქართველოში ჩატარდება.

იმიტირებული სასამართლო პროცესი წარმოადგენს ევროპის გაერთიანების სასამართლოს სიმულაციას, სადაც სხვადასხვა ევროპული უნივერსიტეტების გუნდები ერთმანეთს ეჯიბრებიან. ყოველ წელს განხილვისათვის მოცემული კაზუსი ეძღვნება ევროპული გაერთიანების სამართლის ერთ-ერთ პრობლემატურ საკითხს, რომელზეც აღიარებული პასუხი ჯერ არ არსებობს და მიმდინარეობს გაცხოველებული სამეცნიერო კვლევები და დებატები. სტუდენტები ხდებიან აღნიშნული პროცესის უშუალო მონაწილენი და პრობლემატურ საკითხზე პასუხებს მსოფლიოში ცნობილ იურისტებთან ერთად ეძებენ, რომლებიც იმიტირებულ სასამართლო პროცესები მოსამართლეების როლში გამოდიან.

შეჯიბრი შემდეგი ფორმატით ტარდება. მონაწილე გუნდებს ეძლევათ კაზუსი, რომელიც მათ ევროპის გაერთიანების სასამართლოში უნდა წარმოადგინონ, როგორც მოსარჩელე, ასევე მოპასუხე მხარის სტატუსით. სტუდენტებს აგრეთვე ეძლევათ ის აკადემიური მასალა (ევროპის გაერთიანების დამფუძნებელი ხელშეკრულებები, სასამართლო გადაწყვეტილებები, სამეცნიერო მასალა), რომლებიც მათ უნდა გამოიყენონ. აღნიშნული მასალის საფუძველზე გუნდები ამზადებენ წერილობით სარჩელს, როგორც მოსარჩელის, ასევე მოპასუხის პოზიციისათვის. წერილობით ნაწილში წარმოადგენილია ყველა ის არგუმენტი, რომელიც, სტუდენტების აზრით, ასაბუთებს თითოეული მხარის სარჩელს. ამ ეტაპის შემდეგ ტარდება ზეპირი მოსმენები, სადაც სტუდენტები გამოდიან როგორც მოსარჩელე და მოპასუხე მხარეთა ადვოკატები სასამართლოს წინაშე. წერილობითი სარჩელების და ზეპირი გამოსვლების შედეგების საფუძველზე ვლინდება გამარჯვებული გუნდი.

2. თავისუფალი უნივერსიტეტის გუნდის შესარჩევი რაუნდი

თავისუფალ უნივერსიტეტში შესარჩევი რაუნდის (შემდომში „შესარჩევი რაუნდი“) ჩატარების მიზანი არის გამოავლინოს საუკეთესო ოთხი სტუდენტი, რომლებიც გახდებიან 2015 წლის იმიტირებულ სასამართლო პროცესში თავისუფალი უნივერსიტეტის სახელით მონაწილე გუნდის წევრები.

3. გამოსაყენებელი ენა

შესარჩევი რაუნდი ჩატარდება ინგლისურ ენაზე.

4. მონაწილეობა

შესარჩევი რაუნდში მონაწილეობის უფლება აქვთ თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტის სამართლის სკოლის მე-2, მე-3 და მე-4 კურსის სტუდენტებს, რომლებიც:

- თავისუფლად ფლობენ ინგლისურ ენას, და
- წინა წლების განმავლობაში არ მიუღიათ მონაწილეობა ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის იმიტირებულ სასამართლო პროცესში.

5. კაზუსი

მონაწილე სტუდენტებს (შემდგომში „მონაწილე“) გადაეცემათ კაზუსი, რომელიც შეეხება ევროპის გაერთიანების სამართლის კონკრეტულ საკითხებს და განესაზღვრებათ დრო წერილობითი სარჩელების მოსამზადებლად. მონაწილეებმა უნდა უპასუხონ დასმულ სასარჩელო შეკითხვას, როგორც მოსარჩელის, ისე მოპასუხის პოზიციიდან.

6. შერჩევის პროცესი

შესარჩევი რაუნდი მოიცავს ორ ეტაპს: წერილობითი სარჩელების მომზადება და ზეპირი რაუნდი.

a. წერილობითი სარჩელების ჩაბარება

ყველა მონაწილემ უნდა მოამზადოს წერილობითი სარჩელი, როგორც მოსარჩელის, ისე მოპასუხის პოზიციისათვის. წერილობითი სარჩელის მოცულობა არ უნდა აღემატებოდეს A4 ფორმატის ორ (2) ნაბეჭდ გვერდს თითოეული მხარისათვის. წერილობითი სარჩელის თითოეული აბზაცი უნდა იყოს დანომრილი და უნდა შეიცავდეს მითითებას ყველა იმ წყაროზე, რომელსაც ეყრდნობა მოსარჩელე ან/და მოპასუხე.

მონაწილემ უნდა გააგზავნოს მოსარჩელის და მოპასუხის წერილობითი სარჩელი არაუგვიანეს 2015 წლის -----ს 22:00 საათისა ელექტრონული ფოსტის მეშვეობით შემდეგ მისამართზე: _____.

მიღება დადასტურებული იქნება შეჯიბრის ორგანიზატორების მიერ არაუგვიანეს 2015 წლის _____სა. დაგვიანებით მიღებული სარჩელების ავტორებს არ მიეცემათ შეჯიბრში მონაწილეობის უფლება.

b. ზეპირი რაუნდი

ზეპირი რაუნდის ჩატარების თარიღი, დრო და ადგილი გამოცხადდება წერილობითი სარჩელების ჩაბარების შემდეგ. ზეპირ რაუნდში მონაწილეობას მიიღებს ყველა ის მონაწილე, რომელმაც დროულად ჩააბარა წერილობითი სარჩელები.

ზეპირ რაუნდზე ყველა მონაწილე გააკეთებს მოხსენებას, როგორც მოსარჩელის, ისე მოპასუხის სტატუსით იმიტირებული სასამართლოს წინაშე. აუცილებელი არ არის, რომ მონაწილის ზეპირი მოხსენება იმეორებდეს წერილობით სარჩელში მითითებულ არგუმენტებს და მონაწილეს უფლება აქვს შეცვალოს წერილობით სარჩელში გამოთქმული მოსაზრებები.

ზეპირ რაუნდზე მოხსენების გასაკეთებლად თითოეულ მონაწილეს განესაზღვრება ხუთ-ხუთი წუთი თითოეული მხარის (მოსარჩელის და მოპასუხის) პოზიციის წარმოსადგენად. მონაწილის თხოვნის შემთხვევაში, შესაძლებელია მოსამართლეების თანხმობით მონაწილეს განესაზღვროს დამატებითი დრო, რომლის ხანგრძლივობა არ აღემატება 3 (სამი) წუთს.

იმიტირებული სასამართლო შედგება სამი მოსამართლისაგან. თითოეული მოსამართლე შეაფასებს მონაწილეს ინდივიდუალურად ქვემოთ მოცემული კრიტერიუმების მიხედვით

7. შეფასება

მონაწილე სტუდენტთა შესაფასებლად მოსამართლეები გამოიყენებენ შემდეგ კრიტერიუმებს:

| კრიტერიუმები | მაქსიმალური ქულა |
|---|------------------|
| წერილობითი სარჩელების ფორმა და შინაარსი | 20 |
| ზეპირი მოხსენების სტილი და ხარისხი | 30 |
| გამოყოფილი მასალების სწორი და ეფექტური გამოყენება | 30 |
| მოსამართლეების შეკითხვებზე პასუხის გაცემის უნარი | 20 |

8. შესარჩევი რაუნდის შედეგები

ზეპირი რაუნდის დასრულებიდან 24 საათის განმავლობაში გამოცხადდება შესარჩევი რაუნდის შედეგები.

შერჩეულად ჩაითვლება ის ოთხი მონაწილე, რომელიც დააგროვებს დანარჩენ მონაწილეებზე მეტ ქულას.